

იტალიური კომპანიების მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის სააგენტო ITA
იტალიის საელჩოსთან არსებული თბილისის და ბაქოს ოფისები

რეგულაცია
მომწოდებელთა რეესტრში რეგისტრაციისთვის

წინამდებარე რეგულაციაში წარმოდგენილია იტალიის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობის, სააგენტო ITA-ს ბაქოს ოფისის/თბილისის დესქის მომწოდებელთა რეესტრში რეგისტრაციის და მისი მმართველის წესები და პროცედურები. დოკუმენტით რეგულირდება საქონლის თუ მომსახურების შესყიდვისთვის მომწოდებლების შერჩევის პროცესი საქართველოსა და აზერბაიჯანში.

რეგულაცია არსებული ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვით, ეფუძვნება იტალიისა და ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზას (კერძოდ, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 2 ნოემბრის #192 დადგენილება; 2016 წლის 26 ოქტომბერს ეროვნული ანტიკორუფციული ორგანოს მიერ #1097 გადაწყვეტილების აქტით დამტკიცებულ #4 გაიდლაინი, რომელიც თავის მხრივ, ითვალისწინებს 2016 წლის 18 აპრილის #50 დადგენილების ამოქმედებას).

გათვალისწინებულია გარდამავალი პერიოდი, რომელიც მოიცავს პერიოდს დოკუმენტის გამოქვეყნებიდან მარტის დასასრულამდე. მომწოდებელთა რეესტრი ამოქმედდება 2019 წლის 1 აპრილიდან.

მუხლი 1 დაინტერესებული სუბიექტები (ეკონომიკური ოპერატორები)

სააგენტო ITA-ს მომწოდებელთა რეესტრში რეგისტრაცია შეუძლიათ იმ მეწარმეებს, პროფესიონალებს, კომპანიებს, კონსორციუმებსა თუ სხვა სამართლებრივი ფორმის გაერთიანებებს, რომლებიც სტაბილურად არიან დაფუძნებულები საქართველოს/აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და დაინტერესებულები არიან, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტო ITA-ს შესთავაზონ და გაუწიონ მომსახურება.

მუხლი. 2 მომწოდებელთა რეესტრის სტრუქტურა

მომწოდებელთა რეესტრი დაყოფილია ხუთ მაკრო სასაქონლო ჯგუფად:

- მაკრო-სექტორი A ▶ გამოფენების და მასთან დაკავშირებული მომსახურებების ორგანიზება
- მაკრო-სექტორი B ▶ სხვადასხვა სახის მიწოდება/მომარაგება ოფისისთვის
- მაკრო-სექტორი C ▶ საოფისე ავეჯი, მოწყობილობა-დანადგარები
- მაკრო-სექტორი D ▶ სამუშაოები და/ან ტექნიკური მომსახურება
- მაკრო-სექტორი E ▶ მომსახურება და კონსულტაცია

ზემოთ ჩამოთვლილი მაკრო სექტორებიდან ეკონომიკურ ოპერატორს შეუძლია, შეარჩოს ხუთი ქვეკატეგორია და მოითხოვოს რეგისტრაცია მაქსიმუმ ორ მაკრო-სექტორში (იხილეთ დოკუმენტი: *კატეგორიების და ქვეკატეგორიების სია*).

ის სექტორი თუ კატეგორია, რომელშიც ეკონომიკური ოპერატორი რეგისტრაციას მოითხოვს, უნდა შეესაბამებოდეს მის პროფილს, რაც თავის მხრივ, უნდა დასტურდებოდეს წესდებით და/ან კომპეტენტურ ორგანოში კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტის არსებობით საქმიანობის ძირითადი მიმართულების აღნიშვნით.

მუხლი. 3 რეესტრში რეგისტრაციის პირობები

რეგისტრაციის წარმატების გავლის მიზნით, ეკონომიკური ოპერატორი:

- უნდა წარმოადგენდეს 1 მუხლში ჩამოთვლილი კატეგორიებიდან რომელიმე სექტორში დარეგისტრირებულ იურიდიულ პირს;
- უნდა იყოს რეგისტრირებული გადასახადების გადამხდელად;
- უნდა აღიარებდეს, რომ არ იმყოფა იტალიური კანონმდებლობით გათვალისწინებულ გარემოებებში (2016 წლის #50 დადგენილების მე-80 მუხლი-საჯარო შესყიდვების კოდექსი) ან ადგილობრივ კანონმდებლობაში გათვალისწინებულ გარემოებებში, რომლის საფუძველზეც შესაძლოა, არ დაკმაყოფილდეს მისი განაცხადი რეესტრში რეგისტრაციისთვის¹.
- განაცხადის განხილვაზე უარის თქმისთვის შესაძლო მიზეზების არარსებობა უნდა დაადასტუროს დეკლარაციით (დანართი 1);
- უნდა იცავდეს თავისი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შრომით ხელშეკრულებას ან ნებისმიერ სხვა დაკავშირებულ დამატებით ხელშეკრულებას.
- უნდა ადასტურებდეს, რომ პროფესიული თვალსაზრისით აკმაყოფილებს რეესტრში რეგისტრაციისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, ფლობს საჭირო ეკონომიკურ თუ ფინანსურ შესაძლებლობას და ტექნიკურ-პროფესიონალურ ბაზას.
- ბოლო სამი წლის განმავლობაში ეკონომიკური ოპერატორის სააგენტო ITA-სთან საკონტრაქტო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, არ უნდა იყოს დაფიქსირებული ვალდებულების სერიოზული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, რასაც შესაძლოა, გამოეწვია სააგენტო ITA-ს მიერ კონტრაქტის შეწყვეტა ან შესყიდვის გაუქმება.

ეს გარემოებებია: ა) სისხლის სამართლის დანაშაული ბ) გადასახადის გადახდის და სოციალური შენატანის ვალდებულების განუხორციელებლობა; გ) გადახდისუუნარობა, ინტერესთა კონფლიქტი, სამართალდარღვევა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას; დ) იტალიის ან შესყიდვის ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული შერჩევის პროცედურებში მონაწილეობაზე უარის თქმის სხვა გარემოებები.

შენიშვნა: კონსორციუმების შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს როგორც კონსორციუმი, ასევე მასში შემავალი თითოეული კომპანია.

მუხლი 4. სარეგისტრაციო პროცედურები და ვადები

მომწოდებელთა რეესტრში რეგისტრაციისთვის საჭიროა წერილის გაგზავნა შემდეგ ელ. ფოსტაზე: tbilisi@ice.it სათაურით: *სააგენტო ITA-თბილისის/ბაქოს ოფისის მომწოდებელთა რეესტრში რეგისტრაცია*. წერილს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია (შესავსები დოკუმენტების მოძიება შესაძლოა სააგენტო ITA-ს ვებ გვერდზე www.ice.it, ბმული: www.ice.it/en/markets/georgia).

1. სარეგისტრაციო ფორმა, სათანადო სექტორის/სექტორების მონიშვნით;
2. დეკლარაცია რეგისტრაციის საჭირო პირობების დაკმაყოფილებაზე (დანართი 1);
3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი დოკუმენტაცია, რომლებიც გათვალისწინებულია ამ რეგულაციის მე-5 და მე-6 მუხლებით.

სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც გათვალისწინებულია ამ რეგულაციის მე-5 და მე-6 მუხლებით სააგენტო ITA-მ შესაძლოა კომპანიის ქმედითუნარიანობის შეფასების მიზნით მოითხოვოს.

სააგენტო ITA-ს ვებ-გვერდზე შესაძლოა, იხილოთ დარეგისტრირებული ეკონომიკური ოპერატორების ჩამონათვალი.

თუ დოკუმენტაციის შევსებისას დაზუსტებები გახდა საჭიროა, შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ სააგენტო ITA-ს ოფისს შემდეგ მისამართზე: tbilisi@ice.it.

1 და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია უნდა შეივსოს, ამოიბეჭდოს, ხელი მოეწეროს კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ და (ხელმოძღვრის საიდენტიფიკაციო დოკუმენტთან ერთად) გაიგზავნოს თავდაპირველად ელექტრონული ფოსტით მისამართზე: tbilisi@ice.it, შემდეგ ეტაპზე კი ორიგინალი დოკუმენტები ჩაბარდეს სააგენტო ITA-ს თბილისის დესქს (მისამართი: ჩიტაძის ქ. #3ა, 0108 თბილისი, საქართველო).

მუხლი 5 დამატებითი დოკუმენტაცია

მე-4 მუხლში მითითებულ დოკუმენტაციასთან ერთად, როგორც ზემოთ აღინიშნა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოხდეს დამატებითი დოკუმენტაციის წადგენა; ეს შემთხვევებია:

დამოუკიდებელი პროფესიონალები (კერძო ადვოკატები, არქიტექტორები, თარჯიმნები)

- ავტობიოგრაფია (CV);
- სხვა რეესტრებში შესაძლო გაწევრიანების დასტური/საქმიანობის ლიცენზია.

კომპანიები

- მოკლე ინფორმაცია/აღწერა ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებულ სულ მცირე ორ ანალოგიური მიწოდებაზე/მომსახურებაზე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებისთვის/კომპანიებისთვის, რომელზეც ამჟამად კეთდება განაცხადი. ალტერნატიულად შესაძლოა შესრულებულ პროექტებთან დაკავშირებული კონტრაქტების/ფაქტურების გამოგზავნა.

დამატებითი დოკუმენტაცია არ მოეთხოვება იმ კომპანიებს, რომლებსაც ბოლო 3 წლის განმავლობაში სააგენტო ITA-სთვის გაწეული აქვთ მიწოდება/მომსახურება.

მუხლი 6. სპეციალური დოკუმენტაცია

რელევანტურია სექტორისთვის **A01 “გამოფენების სივრცის მოწყობა”**

1. ეკონომიკურმა ოპერატორმა, რომელსაც აღნიშნულ სექტორში სურს რეგისტრაცია, უნდა წარმოადგინოს ბოლო სამი წლის მანძილზე შესრულებული ძირითადი პროექტები ტექნიკური მახასიათებლების აღწერით, სასურველია ფოტოდოკუმენტაციით. თუ ეს დოკუმენტაცია დიდი მოცულობისაა, შესაძლოა მისი რამდენიმე წერილით გაგზავნა.
2. საკუთრებაში არსებული მოწყობილობებისა და დანადგარების, საწყობებისა და წარმოებების ჩამონათვალი;

ზემოთაღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით დარეგისტრირებული კომპანია მიწვეული იქნება სააგენტო ITA-ს მიერ სივრცის მოწყობისა და ორგანიზებისთვის გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 7. დოკუმენტაციის შესწავლის ვადები

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა და შეფასება მოხდება მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. არასრული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ეკონომიკური ოპერატორი ელ. ფოსტაზე მიიღებს დაზუსტებების გაკეთების მოთხოვნას.

მუხლი 8. ინფორმაციის გადამოწმება შერჩევის შემთხვევითობის პრინციპით

სააგენტო ITA ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვით მოახდენს ეკონომიკური ოპერატორის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმებას, შესაძლოა შერჩევის შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე. თუ გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია მცდარი და არაზუსტია, ეკონომიკურ ოპერატორს დარღვევის ტიპის გათვალისწინებით, შეუჩერდება რეგისტრაცია ან მოიხსნება რეგისტრაციიდან.

მუხლი. 9 ინფორმაციის წარდგენის და რეკვიზიტების განახლების ვალდებულება

მომწოდებელთა რეესტრში დარეგისტრირებულმა ეკონომიკურმა ოპერატორმა ნებისმიერი ცვლილება, რასაც ადგილი შეიძლება ქონდეს კომპანიის რეკვიზიტებში, უნდა შეატყობინოს სააგენტო ITA-ს ასეთი ცვლილების განხორციელებიდან 30 დღის ვადაში ქვემოთ მოცემულ მე-13 და მე-14 მუხლებში აღწერილი ზომების გატარების მიზნით. შეტყობინება ყოველი ასეთი ცვლილების შესახებ უნდა გაიგზავნოს ელ. ფოსტაზე: tbilisi@ice.it.

მუხლი 10 მომწოდებელთა რეესტრის პერიოდული განახლება

სააგენტო ITA-ს მომწოდებელთა რეესტრის განახლება მოხდება ყოველწლიურად. სააგენტო ITA-ს პასუხისმგებელი ოფისი მომწოდებელს მის მიერ შევსებულ სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ ელ. ფოსტაზე გაუგზავნის შეტყობინებას და ამგვარად მოსთხოვს ინფორმაციის განახლებას.

მომწოდებელმა ინფორმაციის განახლება უნდა მოახდინოს ასეთი წერილის მიღებიდან 30 კალენდალური დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკური ოპერატორი მონაწილეობას ვერ მიიღებს განსახორციელებელი შესყიდვისთვის გამოცხადებულ შერჩევის პროცესში.

მუხლი. 11 დარეგისტრირებული მომწოდებლების შეფასება

აღსანიშნია, რომ დარეგისტრირებული მომწოდებლები, რომლებმაც სააგენტო ITA-ს შესაძლოა გაუწიონ საქონლის ან მომსახურების მიწოდება, შეასრულონ სამუშაოები, ექვემდებარებიან შეფასებას პროცესებზე პასუხისმგებელი აღმასრულებლის და ასევე, სპეციალური ოფიცერის მხრიდან.

შეფასება კეთდება 1 დან 5 ქულიანი სისტემით (1 მინიმალური და 5 მაქსიმალური). მიწოდების სხვადასხვა ტიპისათვის შეფასების კრიტერიუმები სხვადასხვაა (არ მოხდება მხოლოდ ტექნიკური მახასიათებლების შეფასება, არამედ ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა მაგალითად, მიწოდების ვადა, პროდუქტისა და მომსახურების შესაბამისობა, წარმოშობილი დარღვევები, პრობლემის გადაჭრაზე რეაგირება).

გაკეთებული შეფასებების საფუძველზე სააგენტო ITA-ს შესაბამისი ოფისი მოახდენს ყოველი ეკონომიკური ოპერატორის საბოლოო შეფასებას სხვადასხვა შეფასებული ასპექტის საფუძველზე, დაადგენს საშუალო ქულას, რომლის გათვალისწინებაც მოხდება მომავალი შერჩევის პროცედურებისთვისაც.

ასევე, თუ მომწოდებელთან გასაფორმებელი იქნება ერთზე მეტი კონტრაქტი, მოხდება მისი შეფასება კონტრეტული კონტრაქტების ფარგლებში და ამგვარად, საბოლოო საშუალოს გამოყვანა.

ეკონომიკურ ოპერატორს შეუძლია შეფასების შედეგების მოთხოვნა.

მუხლი. 12 რეგისტრაციის შეჩერება

თუ მომწოდებელი შეფასებისას მიიღებს 3 ქულაზე ნაკლებს, ეკონომიკური ოპერატორის რეესტრში რეგისტრაცია დროებით შეჩერდება. შეჩერების პერიოდი განისაზღვრება როგორც მინიმუმ ექვსი თვე და მაქსიმუმ ერთი წელი.

რეგისტრაცია ასევე შესაძლოა, შეჩერდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ეკონომიკურმა ოპერატორმა სააგენტო ITA-ს არ შეატყობინა კომპანიის რეკვიზიტებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ან თუ იგი იმყოფება იურიდიული დავის და/ან სასამართლო პროცესში სააგენტო ITA-ს თბილისის/ბაქოს წარმომადგენლობასთან (პროცესის დასრულებამდე), ასევე, თუ ჩაითვალა, რომ მომწოდებელმა დააგვიანა მიწოდების განხორციელება, თუ მოხდა ეკონომიკური ოპერატორის უარყოფითად შეფასება ან დროებით ვერ შესრულდა კონტრაქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულებათაგანი.

რეგისტრაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო ITA-ს თბილისის და ბაქოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. შეჩერება შესაძლოა მოიხსნას:

გადაწყვეტილების მოქმედების გასვლის შემდეგ; იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარე წარადგენს წერილობით დოკუმენტაციას იმის დასამოწმებლად, რომ ვადა გაუვიდა იმ გარემოებებს, რომელმაც გამოიწვია რეგისტრაციის შეჩერება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ მსგავსი გარემოებები კიდევ არსებობს, რეგისტრაცია შესაძლოა გაუქმებას დაექვემდებაროს.

მომწოდებელს რეგისტრაციის შეჩერების შესახებ შეტყობინება მიუვა ელექტრონულ ფოსტაზე.

მუხლი. 13 რეგისტრაციის გაუქმება

მომწოდებლის რეესტრიდან ამოღება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ

1. ეკონომიკური ოპერატორი შესაბამისობაში ვერ მოდის ამ რეგულაციის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ რომელიმე გარემოებასთან;
2. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების გაკეთების დროს მიღებული ქულა 3-ზე ნაკლები იქნება;
3. თუ რეგისტრირებულ ეკონომიკური ოპერატორს რეგისტრაცია შეუჩერდა და არ განუახლდა ან თუ ბოლო სამი წლის მანძილზე მოხდა მისი რეგისტრაციის სამჯერ შეჩერება;
4. თუ ეკონომიკურ ოპერატორს სხვა იტალიური სახელმწიფო ორგანოების მხრიდან რომელიმე ტენდერში მონაწილეობაზე უარი აქვს მიღებული;
5. თუ დადგინდა კონტრაქტის პირობების განმეორებითი შეუსრულებლობა ეკონომიკური ოპერატორის მხრიდან;
6. თუ ეკონომიკურმა ოპერატორმა რამდენიმეჯერ არ გამოავლინა ინტერესი კონტრაქტის დადებაზე (მიზეზის დაკონკრეტების გარეშე ორი წლის განმავლობაში არ უპასუხა სამ თხოვნას შეთავაზების გაკეთებაზე);
7. თუ ორი წელი არ უპასუხა კომუნიკაციას მონაცემების განახლებაზე, რომელიც მას ყოველწლიურად გაეგზავნება;

8. თუ რეგისტრაციის შემდეგ მოხდა შერჩევის პროცესში მონაწილეობისთვის საჭირო პირობების დაკარგვა;

მომწოდებელს რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ შეტყობინება მიუვა ელექტრონულ ფოსტაზე 1 და მე-5 შემთხვევებში. ხოლო მე-6 და მე-7 შემთხვევებში კომუნიკაციის გაგზავნა არ მოხდება.

რეგისტრაციის შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო ITA-ს ბაქოს და თბილისის წარმომადგენლობების ხელმძღვანელი.

მე-6 და მე-7 პუნქტებში აღწერილი მიზეზით შეწყვეტილი რეგისტრაციის შემთხვევაში ეკონომიკურ ოპერატორს შესაძლებლობა აქვს წარადგინოს განაცხადი ახალ რეგისტრაციაზე წინა რეგისტრაციის შეწყვეტიდან სულ მცირე ორი წლის გასვლის შემდეგ.

მუხლი. 14 მონაწილეობის მიღება-რეგისტრირებული მომწოდებლების შერჩევა

მომწოდებლების შერჩევის პროცესი, რომელსაც ახორციელებს სააგენტო ITA-ს პასუხისმგებელი ოფისი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 2 ნოემბრის #192 და 2016 წლის #50 დადგენილებებთან, ისევე როგორც შესავალ ნაწილში აღნიშნული ეროვნული ანტიკორუფციული ორგანოს მიერ დამტკიცებულ #4 გაიდლაინთან.

სააგენტო ITA იტოვებს უფლებამოსილებას დარეგისტრირებული მომწოდებლები შეარჩიოს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ეკონომიკური ოპერატორის პროფესიული შესაძლებლობა;
- რეესტრში ერთიდაიგივე სასაქონლო კატეგორიაზე რეგისტრირებული ეკონომიკური ოპერატორების როტაცია;
- მე-11 მულში აღწერილი შეფასებების კრიტერიუმები;
- კატეგორიაში დარეგისტრირებული ეკონომიკური ოპერატორების რაოდენობა;
- სხვა მოქმედი კონტრაქტები და უკვე გაწეული მომსახურების ხარისხი;
- წინა ჯერებზე უპასუხოდ დატოვებული შეტყობინებები მომსახურების შეთავაზების მოთხოვნაზე;
- სპეციალური პირობები (ტექნიკურ-პროფესიონალური, ეკონომიკურ-ფინანსური).

მომწოდებლის მიერ განაცხადის გაკეთების პროცედურების გავლა ავტომატურად არ გულისხმობს მომსახურების შესრულებაზე შეთავაზების შეკითხვის მიღებას.

მუხლი 15 პერსონალური მონაცემებით სარგებლობა

ყველა ის მონაცემები, რომელსაც სააგენტო ITA მიიღებს ამ რეგულაციის მოთხოვნის შესაბამისად, დამუშავებული და გამოყენებული იქნება ექსკლუზიურად და მიზნობრივად კანონის ფარგლებში; მონაცემებით სარგებლობა მოხდება მოქმედ კანონმდებლობაში პერსონალური მონაცემებით სარგებლობის შესახებ არსებული სათანადო კანონების დაცვით.

თუ რეგულაციის დებულებები შესაბამისობაში არ აღმოჩნდება ადგილობრივ საკანონმდებლო ბაზასთან, უნდა მოხდეს მისი ჩასწორება, შეცვლა ან გაუქმება, ან ავტომატურად იქნება გაბათილებული.

12 მარტი, 2019